განრიდება-მედიაციის პროგრამის გავლენა განრიდებული არასრულწლოვნების მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის პრევენციაზე

ვასილი ანდრიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანტონ ქელბაქიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ვასილი ანდრიაშვილი

14.03.2024

აბსტრაქტი

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ეხება განრიდება-მედიაციის პროგრამის გამოყენებას საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში. მოცემული პროგრამა წარმოადგენს არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მექანიზმს, სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია რომ განხილულ იქნას მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ნაშრომში მკითხველს შესაძლებლობა ექნება გაეცნოს განრიდება-მედიაციის პროგრამის დადებით და უარყოფით მხარეებს, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული კუთხით. ნაშრომი აუცილებლად შეეხება მოცემული სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმით გათვალისწინებული პროგრამების საერთო შეფასებას და მათ გავლენებს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებზე. განხილული იქნება პროფესიონალთა საკითხი და მათი როლი არასრულწლოვანთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით. აგრეთვე, ადგილობრივი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შედარება, რაც იძლევა მკაფიო მსგავსებებისა თუ განსხვავებების, მიღწევებისა თუ ხარვეზების წარმოჩენას.

ფაქტია, განრიდება-მედიაციის პროგრამა დაკისრებულ მოვალეობას ეფექტურად ახორციელებს, თუმცა არსებობს გარკვეული ხარვეზები, რომლებიც საბოლოო ჯამში იწვევენ პრობლემებს, თუნდაც ხელშეკრულებით შეუსაბამოდ შერჩეული პროგრამა, რომელიც არასრულწლოვანს ჩადენილი დანაშაულის ეფექტურად გააზრების საშუალებას ვერ აძლევს. სწორედ ობიექტურობისთვის საჭიროა მოცემული საკითხის არა მხოლოდ დადებით, არამედ უარყოფით მხარეებზე და ხარვეზებზეც იქნას აქცენტი გაკეთებული.

საძიებო/საკვანძო სიტყვები: განრიდება, მედიაცია, პრევენცია, რეაბილიტაცია, რესოციალიზაცია, რეინტეგრაცია, საერთაშორისო სტანდარტები.

Abstract

This paperwork covers application of Diversion-Mediation program in Georgia. This program is one of the important protection mechanisms of juvenile's best interests, that's why it's important to consider its positive and negative sides.

In this paperwork readers will have opportunity to get acquainted with the pros and cons of the Diversion-Mediation program, from theoretical and practical point of view. This master thesis will definitely touch on the general evaluation of the programs, which are given by Diversion-Mediation program and their effects on juveniles in conflict with the law. Also, there will be reviewed the issue of professional's specialization and their effects on rehabilitation and resocialization's view. There will also be comparing of local law system and international standards, to see differences and similarities, achievements and challenges.

It's a fact that Diversion-Mediation program effectively completes the duty, which has got. However, there are some challenges and faults, which causes major problems on juvenile justice, for example, the programs which are inappropriate for juvenile's individual needs and demands of resocialization-rehabilitation and reintegration to society. This kind of issue can't help juvenile in conflict with the law to effectively understand the act which is committed by him or her. It is necessary to focus not only on the positive aspects of the given issue, but also on the negative aspects and flaws.

Keywords: Diversion, Mediation, prevention, rehabilitation, resocialization, reintegration, international standards.